Welcome to EV POWER

# ტენდერი 67 ერთეული ელექტრო ავტომობილის დამტენის (EV Charger) მონტაჟის მომსახურების შესყიდვაზე.

შ.პ.ს “ზრბ სოლარი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე – ra@abio.com.cy

## I. ტენდერში მონაწილეობის წესები

**წინადადებების გამოგზავნა შესაძლებელია 17.03.2025წ. 18:00 საათამდე.**

**სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:**
რატი ახვლედიანი - +995 579 66 66 69 ra@abio.com.cy

გამარჯვებული გამოვლინდება წარმოდგენილი ერთეულოვანი ფასების და გამოცდილების გათვალისწინებით.

მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მაგ: მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, არასასურველი შედეგი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

ტენდერის ფარგლებში დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

სხვა პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

## II. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განხილვის ეტაპზე დაიშვებიან ის პრეტენდენტები, რომლებიც წარმოადგენენ კონკურენტულ ფასებს და დააკმაყოფილებენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:;

1) პრეტენდენტს პერსონალის მობილიზების საშუალება (შესაძლებელია ქვე-კონტრაქტორების მეშვეობითაც) უნდა შეეძლოს სატენდერო დნართ N1-ში მოცემული ყველა მიმართულებით - ტენდერში მონაწილეობა ნიშნავს აღნიშნულ პირობაზე თანხმობას;

## III. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1) ერთეულოვანი განფასება (ექსელის ფორმატში სატენდერო დანართი N1);

2) კომპანიის რეკვიზიტები:
   - კომპანიის იურიდიული სახელი:
   - საიდენტიფიკაციო კოდი:
   - საკონტაქტო პირის სახელი გვარი, პოზიცია:
   - ელ-ფოსტა:
   - ტელ-ნომერი:
   - საბანკო რეკვიზიტები:

3) ინფორმაცია ელექტრო ავტომობილების დამტენების მონტაჟის ან მსგავსი (მაგ. ელ. სამონტაჟო) საქმიანობის გამოცდილების შესახებ;

4) კონტრაქტორი და რეკომენდატორი კომპანიების ჩამონათვალი;

5) შესრულებული სამუშაოების მოცულობის და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფორმა 2, მიღება ჩაბარების აქტი ან სხვა არაკონფიდენციალური დოკუმენტაცია);